KA030194330586419

№ 01-6352 **27 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგეხსენებათ, რომ სამინისტროს ფინანსური საქმიანობის ანალიზის, კერძოდ, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს მართვაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ საქმიანობის, დევნილთა, ეკომიგრანტთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო ხარჯვის მიმდინარეობის ანალიზის განსახორციელებლად, მიზანშეწონილია, ეკონომიკურ დეპარტამენტში დაემატოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული - თანამდებობრივი სარგო 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარი (მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის 2019 წლის 25 ივნისის N01-6258 მოხსენებითი ბარათი).

აღნიშნულის განსახორციელებლად, წარმოგიდგენთ რეკომენდაციას, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2019 წლის საშტატო ერთეულის რიცხოვნობის, სტრუქტურის, მოხელის თანამდებობათა იერარქიისა და თანამდებობრივი სარგოების მოცულობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 5 ივნისის N01-195/ო ბრძანებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. გაუქმდეს ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 (ცხრაასი) ლარი);

2. გაუქმდეს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1 900 (ათას ცხრაასი) ლარი);

3. გაუქმდეს ეკონომიკური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 (ცხრაასი) ლარი);

4. შეიქმნას ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის - ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარი).

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია